

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 6

(ელექტრონული ტენდერი CPV 45510000, SPA200003062)

„24“ დეკემბერი 2020 წელი

ქ. ფოთი

ერთის მხრივ,

ს.ს.ი.პ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“ ს/კ 215082764. მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93, საბანკო რეკვიზიტები: „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი: TRESGE22ა/ა: 707247519, დირექტორი რევაზ ბაბილუა (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს გელმარი ს/კ 215108087 მისამართი: იურ. მის: ფოთი, ტელ: ჭანტურიას ქ. N2; ელ.ფოსტა. pot0077@gmail.com. ტელ: +995293227917 საბანკო რეკვიზიტი: ბანკის დასახელება: ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია ზ/კ UGEBGE22 ა/ა GE92VT0600000005303605 ; წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა ვადაქარია სახით (შემდგომში ”მიმწოდებელი”)

მხარეებს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი, ამწეებისა და მათი ოპერატორების დაქირავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის შპს „გელმარი“-ს წინადადება, შემდეგ თანხაზე: 12 000.00 (თორმეტათასი) ლარი (შემდგომში ”ხელშეკრულების ფასი”).

1. ტერმინთა განმარტებები

1.1 ”ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (შემდგომში - ”ხელშეკრულება”)- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ”ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3 ”შემსყიდველი” - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 ”მიმწოდებელი” - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დოკუმენტაცია.(იხ. სატენდერო დოკუმენტაცია ელექტრონული ტენდერი CPV 45510000, SPA200003062)

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1 „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველისათვის” სპეციალური ავტოტექნიკით: კალათიანი ავტომანქანა (ჭირაფი) და ტვირთამწით მომსახურებას ოპერატორთან ერთად წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად;

მომსახურების დასახელება	საათების რაოდენობა	საათის ღირებულება	საერთო ღირებ.
სპეციალური ავტოტექნიკით - მინიმუმ 25 მ. სიმაღლემდე აწევის შესაძლებლობის კალათიანი ავტომანქანა (ჭირაფით) მომსახურება, ოპერატორთან ერთად.	15 (თხუთმეტი) საათი	118.00	1770.00
სპეციალური ავტოტექნიკით - მინიმუმ 15 მ. სიმაღლემდე აწევის შესაძლებლობის კალათიანი ავტომანქანა (ჭირაფით) მომსახურება, ოპერატორთან ერთად.	26 (ოცდაექვსი) საათი	55.00	1430.00
სპეციალური ავტოტექნიკით - ტვირთამწით მომსახურება, ოპერატორთან ერთად. ტვირთამწეს უნდა შეეძლოს მინიმუმ 5 (ხუთი) ტონა ტვირთის აწევა/გადაადგილება.	88 (ოთხმოცდარვა) საათი	100.00	8800.00

2.2 მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ქ. ფოთის და ქ. ბათუმის ტერიტორიაზე, შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე. შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

2.3 ექსპლუატაციისას, ავტომანქანის ტექნიკურ გამართულობასა და უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

2.4 მომსახურება უნდა განხორციელდეს ყველა სატრანსპორტო წესების დაცვითა და გათვალისწინებით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 12 000.00 (თორმეტიათასი) ლარი, დ.დ.გ–ს ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს (მათ შორის საწვავ-საპოხი მასალებით გამართვის ხარჯებს) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს დღგ–ს ჩათვლით. ხარჯი რომელიც არ იქნება გათვალისწინებული სატენდერო წინადადების ფასში არ დაეკვემდებარება ანაზღაურებას.

4. მომსახურების მიწოდების ვადები და გარანტია

4.1. მომსახურების მიწოდების ვადაა - ეტაპობრივად 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.2. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, ან/და მაქსიმუმ მომდევნო კალენდარულ დღეს თუ შემსყიდველი ამას მოითხოვს, მოთხოვნა შესაძლებელია დაფიქსირდეს ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით (როგორც ზეპირი, წერილობით ან სხვა რაიმე საკომუნიკაციო საშუალებით (ელექტრონული ფოსტით E-mail განხორციელებული შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად).

4.3 გასაწევი მომსახურების საგარანტიო პირობები:

ა) მომსახურება უნდა განხორციელდეს ყველა სატრანსპორტო წესების დაცვით და გათვალისწინებით;

ბ) გასაწევი მომსახურების პერიოდის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში;

გ) სატრანსპორტო საშუალების მძღოლი უნდა იყოს კვალიფიციური.

დ) ექსპლუატაციისას, ავტომანქანის ტექნიკურ გამართულობასა და უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 ხელშეკრულების საერთო ფასი გამოსახულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახადის გათვალისწინებით.

5.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ, საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

5.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად ორივე მხარის მიერ მიღება ჩაბარების აქტზე ხელმოწერის შემდეგ.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) მომსახურების მიღებისას აკონტროლოს მომსახურების გაწევის ვადები დრო და ხარისხი. თუ მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევა ხდება ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგოდ შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

ბ) უზრუნველყოს „მიმწოდებელი“–ს მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

ბ) მომსახურება უნდა განხორციელოს ყველა სატრანსპორტო წესების დაცვით და გათვალისწინებით;

ბ) გასაწევი მომსახურების პერიოდის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში;

გ) სატრანსპორტო საშუალების მძღოლი უნდა იყოს კვალიფიციური.

ბ) მომსახურების მიღებისას თუ დადგინდა, რომ მომწოდებელი იქცევა არაკეთისინდისიერად და ამასთან უხარისხოდ გასწევს მომსახურებას შემსყიდველის მხრიდან მასთან შეწყდება ხელშეკრულება.

გ) მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, მაქსიმუმ მომდევნო კალენდარულ დღეს. მოთხოვნა შესაძლებელია დაფიქსირდეს ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით (როგორც ზეპირი ასევე წერილობითი სახით).

7.4. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ“-ს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8. მხარეების პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,05 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2 საჯარიმო სანგციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 % - ის ოდენობით.

8.5 პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, მისი დაკავება მოხდება ასევე მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს „შემსყიდველი“-ს მიერ გამოყოფილი თანამშრომელი: ალექსანდრე ზარქუა.

9.2. ინსპექტირება გულისხმობს „მიმწოდებელი“-ს მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ვალდებულებების შესრულების და მოწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“-სთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

10.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს მაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ფორს მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

11.2 ფორს-მაჟორის ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება, ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო.

11.3 მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს - მაჟორის დადგომიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების

შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

11.4 ფორს მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.

11.5 თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

12.2 თუ სადაო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. შეტყობინება

13.1 თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო (ასევე ელექტრონული ფოსტის) გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფელის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.2 შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა შესაძლოა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუსაო დღეს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან, მომსახურება განხორციელდების ვალდებულება მიმწოდებელს წარმოეშება 2021 წლის 1 იანვრიდან.

14.2 ხელშეკრულების მოქმედების ბოლო ვადაა 2022 წლის 25 თებერვალი.

14.2 ხელშეკრულების მე 8- მუხლის მოქმედება ვრცელდება მის სრულად შესრულებამდე.

15. სხვა პირობები

15.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15.2 ყველა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

შემსყიდველის მხრიდან:

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“-ს

დირექტორი:

რევაზ ბაბილუა

მიმწოდებლის მხრიდან:

შპს „გელმარი“

დირექტორი:

გელა ვადაქარია